



02.09.2015

## ნებართვის არქონის მიუხედავად, „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაო იწყება

ახალი ამბები



ნათია ამირანაშვილი

შეუერთდი განხილვას

### ამავე თემაზე

„ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე გზმ წარადგინეს სვანეთი ნემსებზე - "ნენსკრა ჰესის" მოლოდინში

„საპარტნიორო ფონდი“, რომელიც „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობას **გეგმავს**, ჰესის მშენებლობისთვის საჭირო სამობილიზაციო სამუშაოებს მომდევნო კვირიდან იწყებს.

როგორც „ლიბერალს“ ფონდში განუცხადეს, ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე, ტენდერში გამარჯვებული იტალიური კომპანია „სალინი“, არაუგვიანეს მომდევნო

კვირისა, დაიწყებს წინამოსამზადებელ სამუშაოებს, რაც გულისხმობს დამატებით დეტალურ ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ კვლევით სამუშაოებს, დეტალური სამშენებლო დიზაინის მომზადებას, მისასვლელი გზების რეაბილიტაცია/მშენებლობას, სამშენებლო ტექნიკის მობილიზაციას და მუშათა ბანაკების მოწყობას.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კი ჰესის მშენებლობისთვის საჭირო ეკოლოგიური დასკვნა ჯერ არ გაუცია. „ლიბერალთან“ საუბრისას სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი თამარ შარაშენიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ექსპერტიზა მიმდინარეობს, რომლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა 24 ოქტომბრამდე გახანგრძლივდა.

„საპარტნიორო ფონდი“ „ლიბერალს“ უთხრეს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო გადაამუშავებული ანგარიში საბოლოო დასკვნის გასაცემად გარემოს დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროშია წარდგენილი.

მათი თქმით, ძირითადი სამუშაოების დაწყება 2016 წლიდანაა დაგეგმილი. ფონდის ინფორმაციით, მშენებლობის ნებართვა უკვე 2015 წლის ოქტომბრის ბოლომდე გაიცემა. როგორც ფონდში აცხადებენ, დარწმუნებულები არიან, რომ მშენებლობის ნებართვას მიიღებენ.

რაც შეეხება წინასამობილიზაციო სამუშაოების დაწყებას, ფონდში აცხადებენ, რომ ამგვარი სამუშაოების დაწყებას მშენებლობის ნებართვა არ სჭირდება.

„ლიბერალთან“ საუბრისას „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი აღნიშნავს, რომ სამობილიზაციო სამუშაოების დაწყება პროექტის ნაწილია და მშენებლობის ნებართვის გაცემამდე მსგავსი სამუშაოების დაწყება უკანონოა.

იმას, რომ ფონდში დარწმუნებულები არიან, მშენებლობის ნებართვას 2015 წლის ოქტომბრის ბოლომდე მიიღებენ, ჭიპაშვილი სამინისტროებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე პირდაპირ ზეწოლას უკავშირებს.

„ეს არის მიუღებელი და გადაწყვეტილების მიმღებებზე პირდაპირი ზეწოლა, როგორც გარემოს დაცვის, ისე ეკონომიკის სამინისტროზე. ზეწოლა არის საპარტნიორო ფონდის და ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან. რას ნიშნავს სამობილიზაციო სამუშაოების დაწყება?! რომ არ მიიღონ ნებართვა, სამობილიზაციო სამუშაოების დაწყებისთვის დახარჯული თანხებს ვინ აანაზღაურებს?“, - აცხადებს ჭიპაშვილი.

რაც შეეხება კითხვას, თუ რამდენად მიზანშეწონილი და საჭიროა „ნენსკრა ჰესის“ აშენება, ჭიპაშვილი ამბობს, რომ ამაზე პასუხი გარემოზე შეფასების ანგარიშმა უნდა გასცეს. თუმცა, როგორც ის ამბობს, „ნენსკრა ჰესთან“ დაკავშირებით წარმოდგენილი გზშ-ს

ანგარიშში ძალიან ბევრი საკითხი შეუსწავლელია, ასევე არაა დასაბუთებული პროექტის მიზანშეწონილობა, ამიტომ მასზე დადებითი ეკოლოგიური დასკვნა არ შეიძლება გაიცეს.

„ენერგეტიკული თვალსაზრისითაც გზშ-ს ანგარიში საერთოდ გაურკვეველია, არც ტარიფია მოცემული, არც ისაა მოცემული, სად წავა ეს ელექტროენერჯია, ვის მოხმარდება, როგორ იმოქმედებს იგი ენგურჰესზე, არაა მოცემული მუშაობის რეჟიმები. შესაბამისად, აბსოლუტურად გაუგებარია, ენერგეტიკული თვალსაზრისით, რა სარგებლის მომტანი იქნება აღნიშნული ჰესი და რაც მთავარია, რა ტარიფი ექნება ამ ელექტროენერჯიას“, - ამბობს ჭიპაშვილი.

რაც შეეხება გარემოს, „ლიბერალთან“ საუბრისას ჭიპაშვილი აღნიშნავს, რომ, ასევე არაა შეფასებული ის გეოლოგიური რისკები, რაც ამ პროექტის განხორციელებას უკავშირდება.

მისი თქმით, ჰესის აშენებისთვის გამოყოფილი ტერიტორიები ფაქტობრივად მცინვარების ძირშია, ამიტომ ამ პროექტის განხორციელება მცინვარების დნობაზე უშუალოდ იმოქმედებს.

როგორ „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი ამბობს, გზშ-ს ანგარიშში, ასევე არაა შეფასებული ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობის შემოსავლებზე.

„გზე-ში წერია, რომ ამ პროექტის განხორციელების შემდეგ შეიცვლება მიკროკლიმატი, იმოქმედებს მოსავლიანობაზე, მისი შემარბილებელი ღონისძიებები კი რატომღაც არ არის განსაზღვრული და საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მხოლოდ ორი ოჯახის განსახლება მოუწევთ“, - ამბობს ჭიპაშვილი.

ჭიპაშვილი, ასევე ამბობს, რომ გზშ-ს ანგარიშში, ასევე არაა გათვალისწინებული გერმანელი ექსპერტის დასკვნები, რომელიც გზშ-ს მომზადებისას გარემოს დაცვის სამინისტრომ დაიქირავა.

„შესაძლოა, ითქვას, რომ არცერთი საკითხი დეტალურად და სრულფასოვნად შეფასებული არაა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ დადებით დასკვნას უეჭველი მიიღებენ, ეს შეიძლება შეფასდეს პირდაპირ ზეწოლად. პრემიერ-მინისტროს ქცევაც და განცხადებებშიც არის ზემოქმედება გადაწყვეტილების მიმღებებ პირებზე“, - ამბობს ის.

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებათა პაკეტის ხელმოწერის ცერემონია 31 აგვისტოს გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

„მინდა გითხრათ, რომ პროექტთან დაკავშირებით ყველა ტექნიკური, ფინანსური და იურიდიული დეტალი უკვე შეთანხმებულია და სამშენებლო კომპანია უახლოეს დღეებში დაიწყებს სამობილიზაციო სამუშაოებს მშენებლობისათვის. ჰესის სიმძლავრეა 280

მეგავატი. მისი პოტენციური წლიური გამომუშავება იქნება 1.2 მილიარდ კილოვატ საათი. სადგური ელექტროენერჯის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს და 2021 წელს პროექტი საბოლოოდ დასრულდება", - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

0 Comments

Sort by **Top**



Add a comment...

 Facebook Comments Plugin

